ბრძანება

N 857
13/11/2018

ა(ა)იპ - საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიული ფედერაციის სასერტიფიკაციო პროგრამის აღიარების შესახებ

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს წარედგინა ა(ა)იპ - საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიული ფედერაციის განცხადება (ს/ნ404921670; N161616/16 01.08.2018; N163564/16 03.08.2018; N195781/16 21.09.2018; N219234/16 25.10.2018), რომლითაც მოთხოვნილია სასერტიფიკაციო პროგრამის აღიარება.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის, „პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტისა და სასერტიფიკაციო პროგრამებისა და საგამოცდო პროცესის აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 18 აგვისტოს N6-13 ბრძანებისა და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 4 ოქტომბრის N677 ბრძანებით დამტკიცებული ,,სასერტიფიკაციო პროგრამების, საგამოცდო პროცესის, სპეციალიზებული გამოცდების განმახორციელებელი ორგანოს, საგანმანათლებლო საქმიანობის განმახორციელებელი პირის ცალკეული დისციპლინების (საგნების) და განგრძობითი განათლების პროგრამის აღიარების კომისიის“ 2018 წლის 5 ნოემბრის ოქმისა და ამავე წლის 12 ნოემბრის სხდომის ოქმის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დასრულდეს ა(ა)იპ - საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიული ფედერაციის სასერტიფიკაციო პროგრამის აღიარებასთან დაკავშირებული წარმოება.

2. მოთხოვნა დაკმაყოფილდეს და ა(ა)იპ - საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიული ფედერაციის მიერ წარმოდგენილი სასერტიფიკაციო პროგრამა ჩაითვალოს აღიარებულად.

3. მიენიჭოს ა(ა)იპ - საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიული ფედერაციის სასერტიფიკაციო პროგრამას ნომერი- SARAS-IPD-

0003.

4. დაევალოს ა(ა)იპ - საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიული ფედერაციას აღიარებული სასერტიფიკაციო პროგრამის ვებ-გვერდზე გამოქვეყნება. (www.gfaafm.ge)

5. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე და გავრცელდეს 2018 წლის 13 ნოემბრის შემდგომ წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოში (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ; N6).

დოლიძე იური

სამსახურის უფროსი
ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური